

შხატვრული ტექსტის ენათმეცნიერულ განხილვას არცთუ ისე დიდი
ხანია მიექცა სათანადო, ენათმეცნიერების თანამედროვე ღონის შესაბა-
მისი, ყურადღება. ამ თვალსაზრისით ღირებული ნაშრომებიც შეიქმნა და
მნიშვნელოვანი პრობლემებიც დაისვა, რამაც შესაძლებელი გახდა მთე-
ლი სიცხადით წარმოჩენილყო აუცილებლობა მხატვრული ტექსტის ახ-
ლებური პრინციპებითა და მეთოდებით განხილვისა, ანუ, უფრო კონ-
კრეტულად, აუცილებლობა იმგვარი პრინციპებისა და მეთოდების ჩამო-
ყალიბებისა, რომლებიც ახსნიდნენ მხატვრულ სახეთა შექმნის ენობრივ
მექანიზმს.

რა შეიძლება მივიჩნიოთ ამ საკითხის შესახებ აქამდე არსებულ თეო-
რიათა ძირითად ხარვეზად?

უთუოდ ის, რომ ამთავითვე არაა ცხადად გარკვეული ამგვარი კვლე-
ვის მიზანი, ამ არის დაღვენილი ის უმთავრესი პრობლემები, რომლებიც
ამ ღრას უნდა იქნენ წარმოჩენილი და შესწავლილი.

მხატვრული ტექსტის ენობრივი ფაქტურა რამდენიმე თვალსაზრისით
შეიძლება იქნეს განხილული.

ასეთი თვალსაზრისი, სულ მცირე, სამი მაინცაა:

ა) ენის შესწავლა მისი ისტორიის წარმოსაჩენად,

ბ) ენის შესწავლა მისი ფორმობრივი და ფუნქციური სისტემებისა
და სტრუქტურების დასაღვენად,

და გ) შესწავლა ენისა, როგორც მხატვრული სახეების შექმნის სა-
შუალებისა.

ამის შესაბამისად შესწავლის მიზანიც ნაირგვარი იქნება.

თუ პირველ ორ შემთხვევაში მხატვრული ტექსტი განიხილება რო-
გორც მხოლოდ მათიქსირებელი ენაში არსებული ფაქტებისა და მოვლე-
ნებისა, მესამე თვალსაზრისი ამ ენობრივ ფაქტებსა და მოვლენებს მხა-
ტვრული ღირებულების მიხედვით შეისწავლის.

ამრიგად, სამივე ზემონახენები თვალსაზრისი გულისხმობს ენისად-

მი განსხვავებულ მიდგომას, რაც კვლევის განსხვავებული პრინციპების გამოყენებასა და სპეციფიკური მიზნის არსებობას ვარაუდობს.

ეს თვალსაზრისის მიზნი ერთმანეთში იჩევა და შედეგად, როგორც წესი, ვიღებთ არა მხატვრული ტექსტის რეალიზაციის ენობრივი მექანიზმის წარმოჩენას, არამედ ენის ისტორიისა თუ სისტემის შესაძლებლად მოსახმარი მასალის მოპოვებას.

* * *

მხატვრული ტექსტის შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგი ეშურვის: ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია, ესთეტიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება. მხატვრული ტექსტის საბოლოო და სრული შესწავლა ყველა ამ დარგის მონაცემთა გათვალისწინებას ვარაუდობს, მაგრამ შეუძლებელია ამგვარი კომპლექსური მიდგომა საწყის ეტაპზევე დავისახოთ მიზნად და თანაც ერთმა პიროვნებამ იყისროს იგი — ამ შემთხვევაში დილეტანტიზმი გარდაუვალ დაღს დასავამს ანალიზს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ ენობრივი კვლევის სფეროთი ვიფარგლებთ.

* * *

ვიწყებთ რა მხატვრული ტექსტის ენობრივი კვლევის ამოსავალი დებულებების განხილვას, ბუნებრივად დაისმის შემდეგი კითხვები:

ა) რისი ანალიზი უნდა ჩავატაროთ? ანუ: რა უნდა მივიჩნიოთ მხატვრულ ტექსტიდ? ესე იგი უნდა გაირკვეს კვლევის ობიექტი, მისი არსებითი ნიშან-თვისებანი;

ბ) როგორ უნდა შევისწავლოთ ეს ობიექტი? ანუ: დასაღვენია კვლევის პრინციპები.

* * *

მხატვრული ტექსტის ნიშან-თვისებათა საბოლოო გარკვევა როგორ საკითხია და, ბუნებრივია, ამის პრეტენზია ახლა არ შეიძლება გვქონდეს. განმარტება წინასწარულ, ასე ვთქვათ, სამუშაო ხასიათს ატარებს.

ნებისმიერი ტექსტი გადმოსცემს გარკვეულ ინფორმაციას. არამხატვრული ტექსტისათვის მასში ჩადებული ინფორმაცია ძირითადია და განმსაზღვრელი, მხატვრული ტექსტისათვის კი ნებისმიერი ინფორმაცია არსებითად მხოლოდ ასაშუალებაა მხატვრული სახის შესაქმნელად (რაც, თავისთვალი, კონკრეტულის განხოგადებული სახით წარმოდგენას გულისხმობს).

თუ ეს სწორია, მაშინ უკვე შესაძლებელია დავადგინოთ კიდეც მხატ-ვრული ტექსტის სპეციფიკაც და მისი საზღვრებიც.

ზემოთქმულის მიხედვით უკვე ჩანს მსგავსებაც და განსხვავებაც მხატ-ვრულ და არამხატვრულ ტექსტებს შორის.

ორივე პირობადებულია კონკრეტული რეალური სიტუაციის, მოვ-ლენის მიერ. ეს მსგავსებაა. მაგრამ იმავდროულად განსხვავებაც ხელშე-სახებია: არამხატვრული ტექსტი ბოლომდე ინარჩუნებს კავშირს ასახულ-რეალობასთან. ამ კავშირის გარეშე მას არავითარი შემეცნებითი თუ ემო-ციური ღირებულება არა აქვს. ამის საპირისპიროდ, მხატვრული ტექს-ტი (მეტნაკლებად) წყვეტის უშუალო კავშირს კონკრეტულ მოვლენებთან და დამოუკიდებელ მონაცემად იქცევა; ანუ: დამოუკიდებელი, თავისთა-ვადი ღირებულება ენიჭება, თვითმყოფალობის უნარს იძენს. შესაბამი-სად, ენობრივადაც მხატვრული ტექსტი სხვაგვარ ელფერს იღებს: სიტ-ყვები, შესიტყვებები, მთელი ფრაზა ან გაცილებით უფრო მოზრდილი-სეგმენტი ტექსტისა ახალ, დამატებით მნიშვნელობას იძენენ, ახლებურ-კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან და ამის საფუძველზე თვისებრივად ახალ სისტემებს აყალიბებენ. ფრაზა უფრო ტექსტი ხდება სემანტიკური თვალსაზრისით.

არამხატვრულ ტექსტს მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდე-ნიადაც იგი გარკვეულ რეალურ მოვლენას ასახავს, მას (ამ მოვლენას) მიე-მართება, მას მხოლოდ ამ მიმართების თვალსაზრისით აქვს გამოყენება-

ამისგან განსხვავებით, მხატვრულ ტექსტს, როგორც უკვე ითქვა, რეალურ მოვლენათაგან დამოუკიდებელი ღირებულება აქვს მოპოვე-ბული.

შევადაროთ ამ თვალსაზრისით ორი პარალელური ტექსტი:

„...დაუდგრომელ ას მინდობა სოფლი-
სა ამის მიმოსა... და ყოველივე ამოთ
ას, გარნა საუკუნი იგი უკვდავი ცხოვ-
რება დაულევნელი“ (ქართლის ცხოვრე-
ბა).

„ვა, სოფლი, რაშიგან ხარ,
რას ვებრუნებ, რა ზე ჰქინისა!
ყოვლი შენი მონლობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხერი სადით ძირსა?!
მაგრა ლმერთი არ გასწირავს,
კაცა, შენგან გნაწირსა.“

(„ვეფხისტყაოსანი“. 951).

„...წარვედ და განყიდე ნაყოფი შენი
და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე

„მაქვს საქონელი ურიცხვი,
ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურტლე,

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაღვენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედ-
ვით ს. ყაუ ხჩი შვილის მიერ, ტომი II, თბილისი, 1959, გვ. 185.

“დათა შინა...” (მათე, 19, 21). „...ყოველი, რამცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკ-თა და გაქუნდეს სუნჯო ცაა შინა...“ (ლუკა, 18, 22). „მონასა ნუ ხუებულ ჰყოფ განთავისულებისაგან“ (ისი ზირაჭი, 7, 23).

ათვისულები, შენ დაამზიდრე უკელი, ობლო, არა მქონები: მიღწიან, მომიგონებები, დამლოცვენ, მოვეგონები.“

(ვეფხისტყაოსანი, 803).

აშკარაა, რომ ორსავე რიგში აბსოლუტურად ერთი და იგივე ინფორმაციაა მოწოდებული, მაგრამ პირველ შემთხვევაში ამ ინფორმაციის გადამოცემით მთავრდება ყველაფერი, მეორე შემთხვევაში ინფორმაცია მხოლოდ საშუალებაა, გზაა მხატვრული განზოგადებისა, რაც გაცილებით შეტი ტევადობით წარმოგვიჩნის სათქმელის აზრს.

განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ამგვარი შეპირისპირება, როცა საქმე ვვაქვს ერთი და იმავე ავტორის არამხატვრულ და მხატვრულ ტექსტებთან (ბუნებრივია, რომ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ორსავე ტექსტი ერთსა და იმავე ინფორმაციას გადმოსცემს).

შევუდაროთ ამ თვალსაზრისით ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პირადი წერილიდან მისივე ლექსის („ყვარლის მთებს“) რამდენიმე სტროფს:

„...ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ, შენმა გარდამ, ისე მექნელება დატევება ამ ჩენ ყვარლისა, ნამეტნაფთ ამ ჩენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძერჩისა ჩემთვის სასიამოენ მოგონებებითა. ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რამც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი, და მიღდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც შრთი ტებილი ნათესავური სიტყვა, საგასე სიყვარულითა, ელირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ შეყოლება ნუგეშისმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული...“

(წერილი ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისაღმი²).

„სამშობლო მთები! თქვენი შეილი განებებთ თვესა, მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა: თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული, თქვენთან, ჟე, მთებო, ბუნებითა შეულლებული! მასხოვს, ყრმა ვიყავ, ძლიერ მოსული გონის და ცნობასა, როს სილიალე თქვენი მგვრილა კანკალს, ურეოლასა... რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო, ჩემ ყმაწვილ ყრმობის და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის... მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თვესა... უცხოეთიდამ კვლავ მოგაწედენთ ჩემს გულს და თვალსა...“

(„ყვარლის მთებს“).

² ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 1962, გვ. 241.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ მხატვრულ ტექსტს შესწევს უნარი მოვცავთ იმის ზუსტი ინფორმაცია ამა თუ იმ ფაქტის შესახებ (რასაც ამ პოზიციიდან ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევა-ძიების შედეგები უტყუარად ადასტურებს), მაგრამ იმავდროულად ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ მხატვრული ტექსტის ძირითად, არსებით ნიშან-თვისებად. ამბავი ის ჩინჩხია, რომლის ხორციშესხმა ხდება მხატვრულ ტექსტში. ფაქტი, რომელიც მხატვრულ ლირებულებას იტენს, აღარა მხოლოდ ფაქტი, იგი ვეღარ თავსდება ჩვეულებრივი ლოგიკის ფარგლებში, პოეტური ლოგიკის კუთვნილება ხდება.

* * *

ემოციური შეიძლება იყოს მხატვრული ტექსტიც და არამხატვრულიც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებითი ხასიათის განსხვავებაა მათ შორის: მხატვრული ტექსტი თავისთვად არის ემოციური მაშინ, როდესაც არამხატვრული ტექსტის ემოციურობა უშეალოდ არის შეპირობებული თვით გადმოსაცემი ამბით, ინფორმაციით.

* * *

კვლევის პრინციპებისა და მეთოდებისა დალგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარი ანალიზის დროს და იგი არა მხოლოდ ობიექტის შინაგან ბუნებას უნდა ესადაგებოდეს, არამედ იმავდროულად კვლევის მიზნითაც უნდა იყოს შეპირობებული. ამას ის ფაქტი გვათქმევინებს, რომ მხატვრული ტექსტის ანალიზი მეცნიერების ორი დარგის — ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის — ობიექტს წარმოადგენს და ამიტომაც მარტოლენ ობიექტით ვერ განისაზღვრება კვლევის პრინციპები და მეთოდები. ამ ორ მეცნიერებას თავ-თავისი ინტერესი აქვს მხატვრული ტექსტის მიმართ: ლიტერატურათმცოდნეობა აღგენს მხატვრულ სახეთა სისტემების რაობას, ენათმეცნიერება სწავლობს ამ სისტემათა გამოხატვის ენობრივ მექანიზმს.

* * *

რას უნდა ემყარებოდეს მხატვრული ტექსტის ენობრივი განხილვა, რა არის ამ თვალსაზრისით ამოსავალი დებულებანი?

ა) ბუნებაში არ არის მოცემული მხატვრულობა თავისთვად. მხატვრული სახე არსებობს მხოლოდ ცნობიერებისათვის.

ბ) მხატვრული სახე კონტექსტური ბუნებისაა. ამდენად, იგი განცალევებით, განყენებულად არ რეალიზდება, მხატვრულ ლირებულებას იგი მხოლოდ მხატვრულ სახეთა სისტემაში იღებს.

გ) ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს პოეტური ხედვა და პოეტური ხილვა, რადგან ეს ორი მოვლენა აშკარად განსხვავებული ენობრივი საშუალებებით გამოიჩატება.

პირველი — პოეტური ხედვა — თავისებურად, ასე ვთქვათ, პოეტურად დანახული სინამდვილეა. იგი იმთავითვე გულისხმობს შედარებების, მეტაფორების, ეპითეტების და სხვა მისთანათა პოვნიერებას. ეს არის რეალური სამყარო, გარდაქმნილი პოეტურ სახეებად, ხატებად; სხვაგვარად: ეს არის ესთეტიკურის ძეგბა რეალურად არსებულში.

მეორე — პოეტური ხილვა — ირეალური სამყაროს გაცხადებაა, მისადაგებული სინამდვილესთან. ამ შემთხვევაში ტექსტი ხაზგასმულად სადაა. აქ არაჩვეულებრივი, წამიერი, სასწაულებრივი გამონათება ჩვეულებრივის, ყოველდღიურის რანგშია აყვანილი.

პოეტური ხედვა მხატვრულ სახეთა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მთლიანობაა, პოეტური ხილვა წამიერი გამონათების განუყოფელი ერთიანობაა.

პოეტური ხედვის შესანიშნავი მაგალითია:

„როგორც საძროე ჭვაბს ოქშივარი,
ჭართლის ხეობებს ასდით ნისლები“... (გ. ლეონიძე).

პოეტური ხილვის უბადლო ნიმუშია:

„მიეთვოს, მიეთოვოს
კადლებს ფარშავანგები“... (გ. ტაბიძე).

* * *

მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზი ასევე აუცილებელ პირობად ვარაუდობს ორი მომენტის გარკვევას:

ა) რას აძლევს მწერალი ენას, ანუ: როგორ და რით ამდიდრებს იგრენას;

ბ) რას აძლევს ენა მწერალს.

უდავოა, რომ მწერალი ხევწს და ამდიდრებს ენას. მის მიერ შემოტანილი ფორმები მეტ-ნაკლებად მყვიდრდება ენაში და ამით ენა მეტ სიძლიერე!, მოქნილობასა და ფერადოვნებას იძენს. მაგრამ მწერლის მიერ ენის გამდიდრების ფაქტი სწორ მეცნიერულ ინტერპრეტაციას მოითხოვს, არსებული განმარტებანი კი სიზუსტეს მოკლებულია.

მწერლის მიერ ხმარებული არაუზუალური („უჩვეულო“) ფორმები უპირველეს ყოვლისა „პოეტურ თავისუფლებად“ („პოეტურ ლიცენ-ციად“) აღიქმება. „პოეტური თავისუფლება“ სპეციალურ ლექსიკონებში ნაირგვარად განიმარტება, მაგრამ არსი ყველა მათგანისა ძირითადად ეს არის: მწერლისა, და განსაკუთრებით პოეტისათვის, დასაშვები თავისუფ-

ლება (შესაძლებლობა), საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ისეთი გრა-
მატიკული ფორმები, კონსტრუქციები, წარმოთქმები და გამოთქმები,
რომლებიც სავსებით ან ჩვეულებრივ არ იხმარება მეტყველებაში. ამგვა-
რი განმარტების ნაკლი ის არის, რომ „პოეტური ლიცენციის“ შექმნა-
გამოყენება მთლიანად მწერლის ნება-სურვილს მიეწერება. გამოდის, რომ
საჭიროების შემთხვევაში მწერალს ნებისმიერი ენობრივი ფორმის შექმნა
შეუძლია. სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ამჟამად უკვე
თითქმის ალარაგინ დავობს, რომ მწერალი ვერსად წაუვა ენის შინაგან
კანონზომიერებებს. მწერალი მხოლოდ იყენებს ენის ამ შესაძლებლობებს,
მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც მისი დროის უზუალურ მეტყველე-
ბაში არ გვხვდება. ამის კვალობაზე, „პოეტური თავისუფლებას“ ასეთი
განმარტება უფრო შეესაბამება: პოეტური თავისუფლება არის ენაში პო-
ტენციურად მოცემული (მაგრამ მეტყველებაში არარეალიზებული) ფორ-
მისა და ფუნქციის ინდივიდუალური რეალიზაცია მწერლის მიერ. ასეთი
განმარტება უცილებელს ხდის ნორმიდან („უზუსიდან“) ყოველგვარი
„გადახვევის“ საფუძველი ისევ და ისევ ენაში ვეძიოთ. მწერალი პირველ-
აღმომჩენია ამ შესაძლებლობებისა და არა გამომგონებელი, მწერალი იძ-
ლევა იმპულსს ენის შესაძლებლობათა ასამოქმედებლად (სხვათ შორის,
ანალოგიურად დაისმოდა საყითხი „სამეცნიერო ენის“ შესახებაც).

ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდება ენის შესაძლებლობას, გამო-
ჟენებულ იქნეს ამა თუ იმ პოეტური სისტემის ფაქტურად.

როგორც წესი, გარკვეული მხატვრული სახის შექმნის საშუალებას
რომელიმე ენის სისტემა იძლევა, რაც თითქმის ან სრულიად მიუღწევე-
ლია სხვა ენაში. ასეთია ფშაური დიალექტიზმები ვაჟა-ფშაველას თხზუ-
ლებებში, იმერინშები დავით კლიაშვილის პროზაში, მოხევიზმები ალექ-
სანდრე ყაჩბეგის, მოთხრობებსა და რომანებში და ა. შ. იმავდროულად
აქ ისიც იგულისხმება, რომ ოვით ქართული ენით მოწოდებული მსოფლ-
ხედვა, მსოფლგაება იძლევა გარესამყაროს თავისებური, ორიგინალური
შეცნობის შესაძლებლობას.

ის, რომ რომელიმე ენობრივი სამყარო, როგორც წესი, განსაზღვ-
რავს მხატვრულ სახეთა ამა თუ იმ სისტემის არსებობას, ფრიად ღირსასაც-
ნობი ფაქტია და სპეციალურ დაკვირვებას საჭიროებს. ქართული „ცხრა-
თვალა მზე“, რუსული „солнышко“ უკვე გარკვეული პოეტური სახეებია
და ამ სახეთა შექმნის შესაძლებლობა კონკრეტულ ენაში ძევს. ენა
ის კალაპოტია, აზროვნების უნართან ერთად შეძენილი ის სულის-
კვეთება, რომელშიც ეჭვევა მხატვრულ სახეთა ყოველი სისტემა.
„ჩეები დგას“, „ღრუბლები მიცურავს“, „მზე ამოიწვერა“, „ბინდი ჩამო-
წვა“ — ამ ტრივიალურ გამოთქმებშიც კი უკუფენილია ხატოვანი აზროვ-
ნების ელემენტები და, თუმცა ყოველდღიური გამოყენებისას თითქმის

შეუმჩნეველნი, გაუმშევირვალენი ხდებიან, მაინც განსაზღვრავენ სამყაროს ჩვენეულ ხდვას, რის გამოც ჩვენ ირგვლივ არსებული საგნები და მოვლენები დამატებით თვისობას, ლირებულებას იძენენ, რაც არსებითად განსაზღვრავს კიდეც სინამდვილის პოეტურ ხედვას, სიახლის აღმოჩენას სამყაროს დასაბამიდან ცნობილ საგნებას და მოვლენებში.

* * *

მხატვრული ნაწარმოები მოვლენათა სუბიექტური და ობიექტური ხედვის ორგანული ერთიანობაა, რაც ენით გამოიხატება. ამიტომაც მხატვრული თხზულების ენაში ორივე ეს მომენტია უკუფენილი. ეროვნული ენა ის ფაქტურაა, რომლის საფუძველზე მწერალი თვისეულ ენობრივ სამყაროს ქმნის.

აქედან უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა, რომ მხატვრული ლიტერატურის ენა არ შეიძლება გატოლებულ იქნეს ამა თუ იმ ეროვნულ სალიტერატურო ენასთან. ეს კი ნიშნავს, რომ მწერლის ენა არ შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ ორთოგრაფიული თუ სხვა ნორმების თვალსაზრისით.

მწერლის მიზანია შექმნას მხატვრული სახე, გაასაგნობრივოს გარკვეული აზრი, შექმნას გარკვეული განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს ამ მიზნით გამოიყენოს ამა თუ იმ ენის ნებისმიერი შესაძლებლობა. ამიტომაც, ვფიქრობთ, არასწორია ის პოზიცია, რომელიც ნორმატული, სტანდარტიზებული ენის თვალსაზრისილან ამოსვლით ცდილობს მწერლის ენის შეფასებას. აქ საჭიროა მოვიგონოთ ს. ულმანის საცემით მართებული განმარტება, რომ „სტილისტიკა არის არა უბრალოდ ერთერთი დარგი ენათმეცნიერებისა, არამედ მისი პარალელური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის იმავე მოვლენას, რასაც ენათმეცნიერება, მაგრამ თავისი საკუთარი თვალსაზრისით“.

* * *

მხატვრული ნაწარმოების ნარატიულ მხარეზე, შინაარსზე ყურადღების გამახვილებამ თითქმის მთლიანად ამოარიდა მხატვრული ტექსტის განხილვას წმინდა ფორმობრივი ანალიზი, რამაც, თავის მხრივ, განპირობა სტილისტიკური ანალიზის ქცევა, ფაქტობრივ, ერთგვარ დანამატებ (ხშირად არცთუ სავალდებულო დანამატად). ამის შედეგად ვიცით, რა არის გადმოცემული ამა თუ იმ თხზულებაში, მაგრამ არ ვიცით, როგორ მიიღწევა მისი გამოხატვა. ცდა ამ წინააღმდეგობის დაძლევისა დიდი ხანია არსებობს, პოზიტიური შედეგებიც საკმაოდაა, ინერცია კი, სამწუხაროდ, უფრო ძლიერად იჩენს ჯერჯერობით თავს.

* * *

მეცნიერების მიზანია სამყაროს ოპიონალური ორგანიზება ცნებითი კატეგორიების საშუალებით. ლოგიკური სისტემები სხვა არაფერია, თუ არა გაცნობიერებული ჩელობა. მაგრამ ამის პარალელურად არსებობს სამყაროს გრძნობიერი ორგანიზებაც, როდესაც განმსაზღვრელი ხდება სუბიექტური თვალსაზრისი და ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდებიან ლოგიკური სისტემის მიხედვით შეუთავსებელი საგნები და მოვლენები. ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოზიტის ლოგიკა.

ორივე სისტემა — ლოგიკურიცა და პოეტურიც — ენისთვის ის სინამდვილეა, რომელიც ერთნაირი სიზუსტითა და რელიეფურობით უნდა იქნეს წარმოჩენილი. მაგრამ ენა და მის მიერ ასახული სინამდვილე არ არის სავსებით იდენტური. ასახვა ნიშნავს იმავდროულად გარკვეული თვალსაზრისით შეფასებასაც.

მართლია, მხატვრულ თხზულებაში სინამდვილე აისახება, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები და სინამდვილე, ბუნებრივია, მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ერთი საზომით ვერ შეფასდება. განსხვავებულია მხატვრული ნაწარმოებისა და სინამდვილის სისტემებიც. როგორდა ხდება ერთის ტრანსფორმირება მეორე სახეობად, როგორ გარდაისახება რეალური სინამდვილე ენობრივ სინამდვილედ, როგორ იღებს იგი ესთეტიკურ ღირებულებას? აი, ის საკითხები, რომლებიც გადაწყვეტას მოელიან.

* * *

მხატვრული ტექსტი სტრუქტურული მთლიანობაა და იგი ამ მთლიანობიდან ამოსვლით უნდა იქნეს შესწავლილი.

უპირველეს ყოვლისა ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვრული ტექსტის შესწავლა არ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ ნორმიდან დაცილებული შემთხვევების აღწერაშე, სტილისტიკური ანალიზი არ გულისხმობს მხოლოდ არაუზუალურ ფორმათა შესწავლას.

* * *

არსად არ არის ისე მწვავედ წარმოჩენილი სიახლის შეგრძნება, როგორც ხელოვნებაში, მაგრამ სიახლე არა მარტო ახლის შესახებ წერაა, არამედ იგი უპირველესად ახლებურად წერას გულისხმობს, რაც ენაში უკვე არსებული გამომხატველობითი საშუალებების გადახალისებით მიიღწევა. ამისათვის ნაირგვარი საშუალება არსებობს: სიტყვათა ახლებური დაკავშირება, ანუ: სიტყვის ახალი დისტრიბუციული ვარიანტის აღმოჩენა, რაც არსებითად ცვლის სინამდვილის მანამღე არსებულ ხედვას; სი-

ტყვის ისეთ კონტექსტში მოქცევა, რომელიც მოულოდნელობის ეფექტს ქმნის და, რაც მთავარია, ენის შინაგანი, მანამდე მიუგნებელი, შესაძლებლობების აღმოჩენა და აღმჯმელება.

ყოველივე ამის სრულყოფილი გამოყენება შემოქმედის ენობრივ ალ-დოზეა დამოკიდებული და, ამდენად, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხების რკვევასაც ვარაუდობს.

* * *

მხატვრული ტექსტის განხილვისას უთუოდ დაღვება საკითხი მისი მიმართებისა ენის ისტორიასა და თანამედროვე ვითარებასთან.

საქმე ისაა, რომ აღრე ნორმად მიღებული, ახლა კი ხმარებიდან გამოსული სიტყვები და ფორმები (ე. წ. ლექსიკური და გრამატიკული არქაზიზმები) გარკვეულ შემთხვევაში მხატვრულ ლირებულებას იძენენ. იგივე ითქმის დიალექტიზმების მიმართაც.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ერთი არსებითი ხასიათის საკითხის გადაწყვეტილც: დასაშვებია კი ერთგვარი პოზიციიდან შევაფასოთ, ვთქვათ, დიალექტიზმების გამოყენების შემთხვევები ვაუა-ფშაველასთან და მიხეილ ჭავახიშვილთან, გალაქტიონ ტაბიძესთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან?

ეს საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული მეორე პრობლემასთან: გასარკვევია, თუ ის, რასაც სალიტერატურო ენით განსწავლული პიროვნება მხატვრულობის თვალსაზრისით გამოყენებულ დიალექტიზმად აღიქვამს გაუს პოზიციაში, იყო კი თვით გაუს მიერ ამ მიზნით გამოყენებული? ანუ: არის კი „ყოილი“, „დაიკეროდი“, „მიწოვავ“ ფორმები ვაუაფშაველას მიერ მხატვრული დანიშნულებით ნახმარი?

ეს კი ნიშნავს, რომ დასადგენი ყოფილა, თუ რა არის მხატვრულ ტექსტში გამოყენებული მხატვრული დანიშნულებით და როგორია მისი მიმართება იმასთან, რაც აღმჯმება მხატვრული ფუნქციის მატარებელ ფორმად, ანუ: გასარკვევი ყოფილა მიმართება ავტორისეულ და მკითხველისეულ სტილისტიკებს შორის.

მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს რომ ენათმეცნიერული ინტერპრეტაცია მიეცეს, საჭირო ხდება გარკვევა იმისა, თუ კონკრეტულ ენობრივ სიტუაციასთან შეფარდებით რა შეეძლო ავტორს გამოეყენებინა მხატვრული ფორმის დანიშნულებით და რა ენობრივი ფაქტი აღმჯმება მკითხველის მიერ ამგვარი დანიშნულების მქონედ.

* * *

ერთ-ერთი პრობლემური საკითხთაგანია სტილის განსაზღვრა.
რა არის სტილი?

აზროვნების თავისებურება თუ აზროვნების გამოხატვის თავისებუ-
რება?

როგორც ჩანს, სტილი მაინც ინდივიდუალური მსოფლებელია, გა-
მოხატული შესაბამისი ენობრივი (მუსიკალური, ფერწერული....) ფორ-
მით.

ამ ინდივიდუალობის გამოხატვა გაცილებით უფრო შეზღუდული იყო
ადრე, ვინებ ახლაა.

ეს განსაკუთრებით ითქმის ძველ აღმოსავლურ პოეზიაზე, სადაც ეპი-
თეტების, მეტაფორების, ჰიპერბოლების, შედარებების მყარი სტანდარ-
ტები იყო შექმნილი. ეს იყო ფორმულები, რომელთა ჩარჩოებში იყო
მოქცეული პოეტური აზროვნება.

იმავდროულად იწერებოდა ტრაქტატები, რომლებშიც ზედმიწევნით
იყო განსაზღვრული, თუ როდის რა შედარება, ეპითეტი ან მეტაფორა
უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რომელი გმირი რა ნიშან-თვისებებით
უნდა დახასიათებულიყო, რომელი მოქმედება როგორ უნდა შეფასებუ-
ლიყო. ეს იწვევდა ენობრივ საშუალებათა, შესიტყვებათა, გამოთქმათა
სტანდარტიზაციას, ერთგვაროვნებას. განსაზღვრული იყო თვით ფაბუ-
ლაც, მოქმედების ადგილიც და ა. შ.

მხატვრული თხზულებისადმი ამგვარი დამოკიდებულება განსა-
ზღვრავდა თეორიული ხასიათის ნაშრომების მიზანდასახულებასაც. მათ
მიზანს შეადგინდა სწავლება იმისა, თუ როგორ უნდა წეროს შემოქ-
მედმა.

ეს ტენდენცია ზოგჯერ დღესაც იჩენს თავს როგორც ლიტერატურათ-
მცოდნეობაში, ასევე ენათმეცნიერებაში.

და მაინც მხატვრულ სახეთა სტანდარტიზაციის ეპოქა კარგა ხანია
წარსულს ჩაბარდა. შემოქმედი ფასდება არა მხოლოდ ინდივიდუალური
მსოფლებელით, არამედ იმითაც, თუ რამდენად ადეკვატურ ფორმას მოუ-
ძებნის მას გამოსახატავად.

ანალოგიურად უნდა წარიმართოს ამ ფაქტის მეცნიერული შეფასე-
ბაც. უნდა განისაზღვროს, რა და რატომ აქვს გამოყენებული მწერალს,
რამდენად აღწევს თავის მიზანს, რას სპეცის იგი ამით ხატოვან აზროვნე-
ბას.

* * *

კითხვაზე — რა არის „ფაუსტის“ იდეა — გოეთემ უპასუხა: მე რომ
შემძლებოდა ორიოდე სიტყვით ჩამომეყალიბებინა „ფაუსტის“ იდეა,
აღარც დავწერდი „ფაუსტს“.

3. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

არ არის გამორიცხული, რომ ეს დიალოგი ლეგენდის ფარგლებს არ სცილდებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავლისმეტყველი აზრია მასში ჩადებული.

მართლაც, შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოების დაყვანა რომელიმე ერთ იდეაზე. ესაა მისი გაუბრალოება და ხელოვნური გამარტივება. მით უმეტეს, რომ მხატვრული ტექსტისათვის არსებითია არა რაიმე ინფორმაციის მქონებლობა, არამედ მისი ხორციელება. მხატვრული ტექსტის კვლევაც სწორედ ამ პოზიციიდან უნდა წარიმართოს.

* * *

ასე გვესახება ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც მხატვრული ტექსტის ენათმეცნიერულ ანალიზს უკავშირდება. ამის შესაბამისად ჩატარებული კვლევა-ძიება ნათელყოფს დასახული მიზნის რეალურობას.